



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030483488246117

№ 04-127/ო

13 / მარტი / 2017 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (დანართი 1.6) 1.6.1.–1.6.5. დანართებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ამავე ქვეპროგრამის მე-3 მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის 1.6.1.–1.6.5. დანართებით განსაზღვრული კომპონენტებით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე განაწილების ან შესაბამისი ვაუჩერების გაცემის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კობა სონღულაშვილი – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მარი წერეთელი – მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ვალერი გაზდელიანი – მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) ვიქტორია ლუკავა – სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ე) სერგო კალანდაძე – სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების ფინანსური ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ვ) ზაზა ჯანაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. კომისიის სხდომების მოწვევის ორგანიზების, სხდომის ოქმების წარმოებისა და კომისიის გადაწყვეტილებების თაობაზე დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით, ქეთევან პაპიძე – სააგენტოს მეურვეობა - მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – დაინიშნოს კომისიის მდივნად.

3. დამტკიცდეს:

ა) „დამხმარე საშუალებების განაწილების (ვაუჩერების გაცემის) მიზნით შექმნილი კომისიის საქმიანობის წესი“ (დანართი N1);

ბ) მიღება-ჩაბარების აქტის თანდართული ფორმა (დანართი N2).

4. კომისიის უფლებამოსილება განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე სრულად განაწილება – გაცემის ვადით და წინამდებარე ბრძანების ფარგლებში.

5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს, დანართებთან ერთად, ამ ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის 2016 წლის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის, პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 4 მარტის N04-97/ო ბრძანება.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

დამხმარე საშუალებების განაწილების (ვაუჩერების გაცემის) მიზნით შექმნილი კომისიის საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„დამხმარე საშუალებების განაწილების (ვაუჩერების გაცემის) მიზნით შექმნილი კომისიის საქმიანობის წესი“ (შემდგომში - წესი) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში - პროგრამა) „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) საფუძველზე და განსაზღვრავს:

- ა) დამხმარე საშუალებების განაწილების (ვაუჩერების გაცემის) მიზნით შექმნილი კომისიის (შემდგომში-კომისია) საქმიანობის წესსა და პირობებს;
- ბ) ქვეპროგრამის 1.6.1.–1.6.5. დანართებით განსაზღვრული კომპონენტებით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე განაწილების ან შესაბამისი ვაუჩერების გაცემის პროცედურებს.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის მიზანი

კომისიის საქმიანობის ძირითადი მიზანია: პროგრამის ქვეპროგრამის ფარგლებში დამხმარე საშუალებების გაცემის თაობაზე ბენეფიციართა დადგენილი წესით წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.

მუხლი 3. კომისიის სხდომების მოწვევისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- 1. კომისია იკრიბება კომისიის თავმჯდომარის ან მის არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოწვევით. მოწვევის სიხშირე განპირობებულია განსახილველი განცხადებების რაოდენობით.
- 2. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე.
- 3. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
- 4. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობამ.
- 5. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის სხდომის ხელმძღვანელის ხმა.
- 6. კომისიის გადაწყვეტილებით, სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნეს ექსპერტი ან/და სპეციალისტი.
- 7. კომისიის გადაწყვეტილება შეიტანება კომისიის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.
- 8. კომისიის კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ კორესპონდენციაზე ხელმოწერის უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 4. კომისიის მდივანი

- 1. კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის კომისიის წევრი.
- 2. კომისიის მდივანი:
 - ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომების მოწვევის ორგანიზებას საჭიროებისამებრ;
 - ბ) ადგენს კომისიის სხდომის ოქმებს, სადაც დაფიქსირდება ინფორმაცია სხდომის გამართვის ადგილის, დროის, სხდომაზე დამსწრე წევრების, განსახილველი საკითხ(ებ)ის, კენჭისყრისა და მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ის შესახებ;

გ) კომისიის გადაწყვეტილებას მისი მიღებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით აცნობებს განმცხადებელს, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დამატებით მიუთითებს დამხმარე საშუალებების გამცემი ორგანიზაციის რეკვიზიტებს;

დ) აცნობებს დაკმაყოფილებულ ბენეფიციარს დამხმარე საშუალების მისაღებად შესაბამის მიმწოდებელთან გამოცხადებისა და დათქმულ ვადაში გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგს (კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება).

3. მდივნის არყოფნის შემთხვევაში, კომისიის სხდომის ხელმძღვანელის დავალებით, კომისიის მდივნის მოვალეობას ასრულებს კომისიის რომელიმე წევრი, ხმის უფლების შენარჩუნებით.

მუხლი 5. კომისიის მიერ განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპები

კომისია მოქალაქეთა განცხადებებს დამხმარე საშუალებების მიღების თაობაზე იხილავს და გადაწყვეტილებები გამოაქვს ქვეპროგრამის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული უპირატესი უფლების პრინციპის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ამკრძალავი ნორმების დაცვით.

მუხლი 6. დამხმარე საშუალების მიღების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების რეალიზაცია

1. მიმწოდებლისაგან ბენეფიციარისათვის ან მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის დამხმარე საშუალების გადაცემის საფუძველია კომისიის გადაწყვეტილება.

2. მიმწოდებლისაგან ბენეფიციარისათვის ან მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის დამხმარე საშუალების გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით (დანართი N2).

3. დამხმარე საშუალების მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ ბენეფიციარი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

4. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება სამ ეგზემპლარად, მათ შორის, ერთი გადაეცემა ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, მეორე-მიმწოდებელს, მესამე ეგზემპლარი მიმწოდებლის მიერ ეგზავნება სააგენტოს, დამხმარე საშუალების ბენეფიციარზე გადაცემის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვამდე.

5. თუ განმცხადებელი კომისიის სამდივნოს მიერ გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებულ ვადაში არ მიმართავს დამხმარე საშუალების მიმწოდებელს, კომისიის გადაწყვეტილება ამ განმცხადებლის მიმართ ითვლება გაუქმებულად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

მიღება-ჩაბარების აქტი N

თბილისი

_____ 2017 წ.

შედგა მასზედ, რომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის (რიცხვი) (თვე) —N — ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში

(ორგანიზაციის დასახელება)

– უსასყიდლოდ – 90% თანადაფინანსებით - 80% თანადაფინანსებით

გადასცა ბენეფიციარს _____
სახელი, გვარი

მცხოვრებს _____

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის N _____ პირადი ნომერი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამხმარე საშუალება:
_____ მოდელი _____

„გამცემი“
ორგანიზაციის წარმომადგენელი,
საიდანაც გაიცა დამხმარე საშუალება

სახელი

გვარი

ხელმოწერა

ბ.ა.

„მიმღები“

სახელი

გვარი

პირადობის მოწმობის ნომერი: _____

პირადი ნომერი: _____

ხელმოწერა